

საგანმანათლებლო გარემოს გავლენა აუტიზმის სპექტრის მქონე  
მოსწავლეთა სწავლების ეფექტურობაზე

ოლია ქარჩავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა

ფსიქოლოგია(სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური  
ფსიქოლოგია)კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული ასოცირებული პროფესორი, PhD.  
აშშ ქცევის ანალიტიკოსთა საბჭოს მიერ სერტიფიცირებული ქცევის ანალიტიკოსი,  
BCBA.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

## განაცხადი

*”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”*

ოლია ქარჩავა

22.06.2018

## აბსტრაქტი

მოცემული კვლევა მიზნად ისახავდა საგანმანათლებლო გარემოს როლის შესწავლას აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეების სწავლებაში. კვლევის მიზნიდან გამომდინარე საგანმანათლებლო გარემო განისაზღვრა, როგორც საჯარო სკოლის ბაზაზე არსებული აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებისთვის გამოყოფილი ფიზიკური სივრცის, ადამიანური რესურსებისა და სწავლების მეთოდოლოგიის ერთობლიობა. საკვლევი ჰიპოთეზა მდომარეობდა შემდეგში: ქცევის გამოყენებითი ანალიზის (ABA) მოდელზე დაფუძნებული საგანმანათლებლო გარემო და სწავლების ინტენსივობა განაპირობებს აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების აკადემიური და სოციალური უნარების გაუმჯობესებას.

კვლევა განხორციელდა ქალაქ თბილისის სამ საჯარო სკოლაში: 55-ე, 98-ე და 41-ე. აღნიშნულ სკოლებში ფუნქციონირებს აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებისთვის ინტეგრირებული კლასები, რომლებშიც ირიცხებიან პირველი, მესამე და მეოთხე კლასის აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვები.

კვლევა განხორციელდა ერთი შემთხვევის დიზაინის გამოყენებით და შედგებოდა ოთხი ეტაპისგან, პირველ ეტაპზე სპეციალურად კვლევისთვის ადაპტირებული ინსტრუმენტით მოხდა სამივე სკოლაში აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებისთვის საგანმანათლებლო გარემოს შეფასება. მეორე ეტაპზე სამივე სკოლაში მსგავსი აკადემიური და სოციალური მახასიათებლების მქონე ბავშვების შერჩევის მიზნით აუტიზმის სპექტრის მქონე ყველა ბავშვი შეფასდა ენისა და დასწავლის ბაზისური უნარების შეფასების ინსტრუმენტით (ABLLS-R). შედეგების საფუძველზე თითოეულ სკოლაში შეირჩა 3-3 მსგავსი პროფილის მქონე ბავშვი. კვლევის მესამე და მეოთხე ეტაპზე მოხდა აღნიშნული ბავშვების განმეორებითი შეფასება თებერვალსა და შემდგომ მაისის თვეში.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ აკადემიური და სოციალური უნარების უკეთესი ხარისხისთვის ABA-ზე დაფუძნებული მოდელი და მეთოდოლოგია აღმოჩნდა უფრო მნიშვნელოვანი ვიდრე სკოლაში გატარებული დროის ხანგრძლივობა.

კვლევა განხორციელდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დახმარებით.

*საძიებო სიტყვები: ქცევის გამოყენებითი ანალიზი, ბაზისური უნარები, ინკლუზიური განათლება, აკადემიური უნარები*

## Abstract

This research aimed to explore educational environment role in teaching process of students with Autism spectrum disorder. Corresponding to research objective, educational environment was defined as a unity of teaching methodology, physical space for students with autism spectrum disorder and human resources. The research hypothesis implies following: Educational environment and teaching frequency based on Applied behavior analysis (ABA) model, improves academic and social skills among students with autism spectrum disorder.

The research was implemented in 3 schools of Tbilisi: 55<sup>th</sup>, 98<sup>th</sup> and 41<sup>th</sup>. Mentioned schools obtain integrated classes for students with autism spectrum disorder, where students of first, third and fourth classes are enrolled.

The research applied single - case design and was comprised by four (4) stages. On the first stage, educational environment of students with autism spectrum disorder was assessed using specifically adapted research tool in all three schools. On the second stage, in order to select students with same academic and social characteristics, all children with autism spectrum disorder were evaluated with basic language and learning skills assessment mechanism (ABLRS-R) in all three schools.

Based on results, having same profile 3-3 students were selected in each school. On the third and fourth stages of research, re-assessment was held in February and May.

The research has revealed that, Applied behavior analysis based model and methodology occurred more significant for maintaining higher quality of academic and social skills, than time spent in school.

The research implementation was supported by Ilia State University and Shota Rustaveli national science foundation.

**keywords:** *Applied Behavior Analysis, Basic skills, inclusive education, academic skills*

## მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას გაწეული დახმარებისთვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს თინათინ ჭინჭარაულს, რომელიც კვლევის ყველა ეტაპზე ჩართული იყო და მეხმარებოდა მის განხორციელებაში. ასევე მადლობას ვუხდით ჯეიმს მედისონის უნივერსიტეტის პროფესორს - ტრევორ სთოუქსს გაწეული კონსულტაციისთვის და რჩევებისთვის.